№ 1 1 იანვარი, კვირა 1866—1878 1 იანვარი, კვირა № 1

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მან., ნახევარ წლისა — 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან.

უოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible]-ებით ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე — 8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეოოთი — 5 კაპ., პატარა — 4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

ათასი კაცი ჩვენი ცხენოსანი ჯარისა, რომელიც ლენ.-მაიორის ლორის-მელიქოვის წინამძღოლობით გაგზავნილი იყო ტრაპიზონის გზის დასათვალიერებლათ, დაეტაკებია ბაიბურთის სიახლოვეს თითქმის ათას-ხუთას კაცს ოსმალოს ცხენოსან ჯარს, გაუქცევია ისინი და გადყვენებია კონ-დალამდინ. ჩვენებს დაუტყვევებიათ ერთი აფიცერი და ასამდის სალდათი, უშოვნიათ ერთი ბაირაღი, ბევრი თოფები, ცხენები და სხვა-და-სხვა სამხედრო მასალები.

28 დეკემბრიდამ დაწყებული არზრუმს ჩვენი ჯარი ერთიანათ გარს-შემორტყმია. ერევნის ატრიადის ცხენოსანმა ჯარმა დაიჭირა ქალაქი მელიაზგირდი.

**სტამბოლი,** 31 დეკემბერს. „ჰავასის სააგენტო“ გვაცნობებს, რომ რუსებმა დაიჭირეს ენი-ზაგრი და თათარ-ბაზარჯიკს უნდა მიადგნენ. ადრიანოპოლიდამ ხალხი მირბის.

**ბელგრადი,** 31 დეკემბერს. ნიში და მთელი გარნიზონი ამ ციხისა სერბიის ჯარს დაემორჩილა.

**ცეტინიე,** 31 დეკემბერს. ბოქადარ პეტროვიჩი ჩერნოგორიის ჯარით ანტივარიდამ სკუტარისაკენ გაელაშქრა.

**პეტერბურგი,** 30 დეკემბერს. გუშინ მუზურუს-ფაშის (ინგლისში ოსმალეთის ელჩის) რჩევით, ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ რუსეთთან მორიგების თაობაზე მოლაპარაკებას დაუჩქაროს. ოსმალეთის მხრით ამ მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებელად გაგზავნილი იქნება რეუფ-ფაშა, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა წავიდეს სტამბოლიდამ რუსის მთავარ-კვარტირაში.

სერბიის ჯარებმა ქალაქი ლესკოვიცი დაიჭირეს.

**ვენა** 30 დეკემბერს. ვიდინის ციხის კამენდანტმა აცნობა რუმინიისა და სერბიის ჯარის უფროსებს, რომ სანამ უკანასკნელი ერთი სალდათი ეყოლება, ის ეცდება დაიცვას ვიდინი და შემდეგ ამ ციხეს მხოლოთ რუსის ღენერალს გადასცემს.

**რომი,** 30 დეკემბერს. დღეს გადაიცვალა აქ იტალიის კაროლი ვიქტორ-ემმანუილი.

## საქართველო

### შარშან და წელს

ცა მოღრუბლული იყო, ანუ, როგორც პოლიტიკოსები ამბობენ, პოლიტიკური ჰორიზონტი მოღრუბლული იყო, როდესაც შარშან ახალი წელიწადი დადგა.

ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელნი შეკრებილნი იყვნენ სტამბოლში, ირეოდნენ, ფიცა-ფუცობდნენ და, როგორც დიპლომატების წესია, თითოეული ყველა დანარჩენების ყიწულზე გაცურებას აპირებდა.

— იქნება ომიო! იძახდა ერთი.

— არ იქნებაო! ამბობდა მეორე.

— ოსმალეთი დათანხმდება რუსეთის მოთხოვნილებაზედაო! ჰყვიროდა მესამე.

— მითჰხად-ფაშა ყველას გააცურებსო! გამოისმოდა მეოთხესაკან.

12 აპრილამდინ გასტანა ამ გამოუკვლეველმა მდგომარეობამ.

12 აპრილს რუსეთის ხელმწიფემ კიშინევში მოაწერა ხელი იმის გამოცხადებას. პოლიტიკა, დიპლომაცია ჩაჩუმდა; ბურთი და მოედანი რუსეთისა და ოსმალეთის მხედრობას დარჩა.

მას აქეთ „პოლიტიკური ჰორიზონტი“ ერთსა და იმავე მდგომარეობაშია: ომია,

## ფელეტონი

### საახალწლო მასლაათი

ქარგიც არის ეს ახალი წელიწადი და ცუდიც!

კარგი მაშინ, როცა წინ გაიხედავ და გამოგეხატება სხვა-და-სხვა იმედები, სხვა-და-სხვა სურვილი და ნატვრა, რომელთ აღსრულებასაც ამ ახალი წლის განმავლობაში მოელი.

ცუდი მაშინ, როდესაც უკან მოიხედავ და გავლილ წელს, ანუ კიდევ უარესი, გავლილ წელიწადებს ანგარიშს მოსთხოვ. დარწმუნდები, რომ ამ წელიწადმა შენთვის ფუჭად, უნაყოფოდ ჩაიარა; ჰხედავ, რომ არ აგისრულდა ის, რის აღსრულებაც სულითა და გულით გწადოდა, და დარჩი ისევ ისე, როგორც შარშან ამ დროს იყავი.

×

მაგრამ ის იმედი, რომ რაც შარშან ვერ შევასრულეთ, ის წელს აგვისრულდებაო, რასაც წასულ წელს ვერ ველირსეთ, იმას ამ ლამდეგ წელს ველირსებითო,—გულს გვიმხნევებს მუდამ და სასოწარკვეთილებაში არ გვაგდებს.

მართლაც, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება — თუ მუდამ ეს იმედი, უკეთესი ბედისა და მომავლის იმედი არ გვქონოდა?! დავლაყდებოდით, დავმქავდებოდით, გულ-ხელ-დაკრეფილი დავჯდებოდით და მოუშფოთებლად მეორედ-მოსვლას დაუწყებდით მოლოდინს..

ახლა კი სულ სხვაა; უზენაესს ძალას ისეთი ბუნება მიუნიჭებია კაცისათვის, რომ ის დღევანდელ დღით, აწმყო მდგომარეობით არასოდეს არ არის კმაყოფილი; მუდამ უკეთესი უნდა, ყოველთვის გაუმჯობესობას ცდილობს, მოელის....

და დღეს რომ აუსრულდეს კაცს, რაგაც ის ცდილობს და ნატრულობს, ასე სგონიათ—ამით დაკმაყოფილდება? სულაც არა; ხვალ კიდევ სხვას მოითხოვს, ზეგ კიდევ სხვას და ასე უკუნითი-უკუნისამდინ.

აქ მუდამ „უკეთესის“ ძებნაში მდგომარეობს ადამიანის ცხოვრება და მთელი კაცობრიობის წარმატების საფუძველი....

×

მაშ სადამე ამ ფილოსოფიური ლოლიკით რომ ვიაროთ, შემდეგ დასკვნამდინ მივალთ:

„ადამიანის წარმატება და ბედნიერება მუდამ იმის ნატვრისა და სურვილის დაუკმაყოფილებლობაში მდგომარეობს.“

ეს დასკვნა მით უფრო ჭეშმარიტია, რომ ახლანდელი ადამიანი საზოგადოთ ბოროტია, ეგოისტი, მხოლოთ თავის კერძო კეთილდღეობისათვის მზრუნავდა სხვისთვის ორმოს მთხრელი. და ამიგამო ის კეთილს არასოდეს არ ინატრებს.

ჯერ კეთილი ნატვრის ასრულებაც მავნებელია კაცისათვის ამ მიზეზის გამო, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ; თორემ ბოროტის რაღა უნდა იყოს?!

მაგალითებით აგიხსნით:

×

თქვენ რომ მაგალითად, ვაჭარი ხართ

ბრძოლაა; ერთის მხრით ოსმალეთი, მეორეს მხრით რუსეთი, რუმინია, ჩერნოგორია და სერბია.

მთელი ქვეყანა ამათ შეტაკებას, ამათ ბრძოლას შესჩერებია. „აღმოსავლეთის კითხვის" გადაწყვეტას ამ ბრძოლისაგან მოელიან...

ბევრჯელ იცვალა მებრძოლთ ბედი ამ ცხრა თვის განმავალობაში. აქეთკენ, ჩვენკენ ერთ დროს საქმე იქამდინ მივიდა, რომ კინაღამ ჩვენს სატახტო ქალაქს მუხთარ-ფაშა არ ესტუმრა.

მაგრამ ეს იყო მხოლოთ ერთ წამს... შემდეგ რუსეთის მხედრობა წინ იწევს სტამბოლისაკენ და ოსმალეთისა კი უკან. დღეს, 1 იანვარს, რუსის ჯარი ერთის მხრით ადრიანოპოლამდინ მივიდა თითქმის და მეორეს მხრით არზრუმს მიადგა.

და რა გასაკვირველია, რომ ძლიერმა რუსეთმა თავის მომხრეებით გაუწყობელ ომითა და არეულობით დასუსტებულ ოსმალოს მოერიოს. გასაკვირველი ის არის, რომ ამდენი ხანი გაუძლო ოსმალეთმა თავის მოწინააღმდეგეებს და რაც ძალა ჰქონდათ, ბრძოლის ველზე გამოაყენინა.

წელს ეს ომი გათავდება. რაც უნდა აუჩქარებლადაც რომ გაიწიოს წინ რუსეთის ჯარმა, როგორც გასულ წელიწადში მიდიოდა, ამ წლის დამლევს მაინც სტამბოლის კარებამდინ მიაწევს და, თუ მანამ არა, მაშინ მაინც, უეჭველია, ოსმალეთი ძალა-უნებურად დათანხმდება მორიგებაზედ, თუნდაც ეს მორიგება დამამცირებელი იყოს იმის ღირსებისა და შემამცირებელი იმის სამფლობელოსი.

ამ ომის წყალობით ევროპამ ჩვენს ქვეყანასაც მიაქცია ყურადღება. ჩვენი ქვეყანა სამის მხრით მოდებული იყო რუსისა და ოსმალეთის მხედრობით: ყარსისა, ოზურგეთისა და აფხაზეთისაკენ.

ამ გარემოებამ მიაგცევინა ევროპას ჩვენკენ თავის ყურადღება. აქ დატრიალებდნენ ევროპიული გაზეთების კორრესპონდენტები, რომელნიც მარტო ომის მსვლელობას კი არა, ჩვენს ხალხს, ბუნებას, ხასიათს, ჩვეულებას და საზოგადოთ მთელს ჩვენს არსებას აკვირდებოდნენ და უეჭველია, რომ ამ თავის დაკვირვებასა და შთაბეჭდილებას შემდეგში საქვეყნოთ გამოაცხადებენ.

საუბედუროთ, არა გვგონია, რომ იმას ნაწერებში ჩვენთვის სანუკვო და სასიამოვნო რამე მოვნახოთ. ყველა ამას იტყვის:

„ბუნება მდიდარი, ჰაერი მთელი, ქვეყანა მშვენიერი,—მაგრამ ხალხი კი დაუდევარი, ცხვირს იქით არაფრის შემნიშნავი; თავად-აზნაურობა ზანტი, გლეხი ყოვლის მხრით დაჩაგრული, განათლებულნი გაუნათლებელნი, მხოლოთ თავის კუჭისათვის მზრუნავნი და სხვ. და სხვ."

აი ამას იტყვიან ჩვენზე ისინი, ვინც შარშან გვნახა, ამასვე იტყვიან ისინიც, ვინც წელს და კიდევ დიდი ხნის განმავალობაში გვნახავს...

მაგრამ ჩვენ მაინც იმით ვინუგეშებთ თავს, რომ იმ გზაზე, რომელსაც ხალხის წარმატების გზას ეძახიან, წინ მივდივართ. მართალია, ჩვენი ნაბიჯი ერთობ აუჩქარებელია, კიბოს ნაბიჯის მსგავსია, მაგრამ მაინც წინ გადადგმაა ფეხისა, და ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები, შვილისშვილები მაინც ერთს რასმე კეთილს მიეწრებიან....

გვინდოდა გვეთქვა ორიოდე სიტყვა იმ ჩვენთვის ყურადღების ღირსს გარემოებაზე, რომელიც მოხდა წელს ჩვენს კავკასიაში: უბედური ლეკებისა და კიდევ უფრო უბედური აფხაზების არეულობაზე, იმათ უკუღმართს ბედზე, იმაზე—თუ რამ აიძულა ისინი ასაჯანყებლად, თუ ვინ არის ამაში ყველაზე უფრო დამნაშავე და სხვა;—მაგრამ ეს ისეთი საგნებია, რომელზედაც გულ-წრფელად ლაპარაკი ახლა არ არის საჭირო, ამიტომ სჯობიან სულ არა ვთქვათ რა...

თუ ეს პატარა შენიშვნა დღევანდელი დღის—ახალი წლის მილოცვით არ დავიწყეთ, ამით დავამთავროთ მაინც არის:

— მოგილოცავთ ახალწელიწადს! მოგილოცავთ ყველას, მტერსა და მოყვარეს, ბოროტსა და კეთილს. ღმერთმა ყველას თქვენი გულითადი წადილი აგისრულოსთ! მაგრამ ისეთი წადილი კი არა, რომელიც მარტო კერძოთ თქვენთვის იქნება სასარგებლო, არამედ ისეთი, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, მთელი ხალხისათვის იქნება სასარგებლო და კეთილი. ტკბილათ დაგაბეროსთ!.

ს. მ.

## დღიური

*** როგორღაც ტალახიანი და მოღრუბლული ახალი წელიწადი გვითენდება წელს... კაი კი იქნება, თუ დაგვეკვება და მთელი წლის განმავალობაში ამისთანა დღეებმა გასტანა!

მაგრამ მოღრუბლულ დღეებსა და გატალახიანებულს ქუჩებს როგორც იქნება გაუძლებთ: საქმე ის არის, გული გვქონდეს სუფთა და სინიდისი მოწმენდილი. ეს ვინატროთ მთელ ამ წლის განმავალობაში ყველა ჩვენი მკითხველებისათვის...

*** არა გვგონია, რომ გაწმენდილი სინიდისი და შეუბოქებული გული ჰქონდის აჯამეთის ტყის მეპატრონეს უფ. ონანოვს, რომელმაც დიდის მურათით თითო საჟენი შეშა ჩვენი ქალაქის გამგეობას 38 მანეთად მიჰყიდა ღარიბებზე გასასყიდლად.

ეს შეშა ქალაქს მოტანით უკანასკნელ ხუთ თუმნად მაინც დაუჯდება საჟენი და ამ ფასად ხომ ადგილობრივაც შეეძლება ურმობით იყიდოს კაცმა....

*** არა გვგონია აგრეთვე, რომ გაწმენდილი სინიდისი და შემსუბუქებული გული ჰქონდეს გორისუეზდის მასწავლე-

---

—იმას ხო არ ინატრით ამ საახალწლოთ, რომ ყველა გამდიდრესო. არა, თქვენ ამბობთ თქვენს გუნებაში:

— ღმერთო, როტშილდის-ოდენა ფულები მომაგებინე ამ წელს, რომ სხვა ვაჭრებს თვალები დაუყენოვო.

თქვენ რომ თავადი ანუ აზნაური ხართ,—იმას ხომ არ ნატრულობთ დღეს, რომ, ღმერთო ჩვენს ქვეყანას კეთილი და წარმატება მიეციო! არა, თქვენ ნატრულობთ ჩუმათ თქვენსგულში:

— ღმერთო, ის უბედურ დღეს წართმეული გლეხები ისევ უკან დამიბრუნეო, რომ მხარ-თეძოზე წამოწოლილი და ხან-და-ხან მწევარ-მეძებრებით და მიმინოთი სანადიროთ წასვლა შემეძლოსო!

თქვენ, ჩემო პედაგოგო, ჩვენი მომავალი შთამომავლობის აღმზრდელო, თქვენ ხომ ის არა გსურთ მაინც-და-მაინც მამულისათვის სასარგებლო შვილები გამოზარდოთ! არა, თქვენი იდუმალი და აშკარა ნატვრა სულ სხვაა:

— ღმერთო, ზევით ამწიე, უმაღლესი თანამდებობა მომანიჭე. ღმერთო, შენ მოსპე ყველა გაზეთები, რომელნიც ასე უადგილოთ და უდროოთ ერევიან ჩემს საქმეში და მაბრკოლებენ!

შენ, გასათხოვარი ქალის დედავ, ის ხომ არა გსურს, რომ კარგ, ჭკვიან, პატიოსან ქმარს გაჰყვეს შენი ქალი! არა, დღე და ღამე შენ იმას ევედრები ღმერთს, რომ

— ღმერთო, მდიდარი ქმარი მიეცი ჩემ ქალსაო, რომ ისეთნაირად გამოიყვანოს ქვეყანაშიო, რომ სხვებს თვალი დაუყენოს და ცოტა მეც მარგოსო და სხვ. და სხვ.

×

თუ ეს ასეა, თუ ახლანდელი ადამიანები ისეთს ვერაფერს ვერ ვნატრებთ, რომ ამ ნატვრის ასრულება ამავე დროს სხვისთვის და სხვებისთვის მავნებელი არ იყოს, მაშ ნუ გეწყინებათ, რომ დღევანდელ დღეს მე ამ თქვენი ნატვრისა და წადილების ასრულება არ ვისურვო..

×

ორ კაცს შეუსრულდა წელს ნატვრა; ორ ისეთ კაცს, რომელთაც ერთ დროს ჩვენს საზოგადოებაში და ლიტერატურაში ხმა და პატივი ჰქონდათ.

ეს ორი არიან: ერთი უფ. ნ. ნიკოლაძე და მეორეც უფ. გ. წერეთელი.

ერთმა თავის საკუთარი გაზეთი გაიჩინა; მეორე კრაევსკის ამოუფარა კალთის ქვეშ.

ორივენი ახალგაზდა, ნიჭიერი ქართული მწერლები იყვნენ. ორთავესაგან ჩვენი ქართული საზოგადოება შემდეგში ბევრს რასმე მოელოდა. ორთავეს ნაწერებს ჩვენი საზოგადოებისათვის უეჭველი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდათ.

მაგრამ ბოლოს უეცრად ერთმაც და მეორემაც მიატოვეს თავიანთ დედის რძით შეზრდილი ხალხი, ენა, ყველაფერი და ერთი „Обзоръ"-ს შეუდგა, მეორე კი „Голосъ"-ს!

×

მეუბნებიან, მიმტკიცებენ, მარწმუნებენ, რომ ფრანცუზს ჩინეთშიაც შეუძლიან თავის ქვეყანას სარგებლობა მოუტანოსო, ინგლისელს კავკასიაშიაცო,

ბლეს, ყველას საზოგადოთ და განსაკუთრებით ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელს უფ. ტერ-არუთინოვს, რომელიც კვირაში ერთხელ-ორჯერ მობრძანდება თურმე მარტო სასწავლებელში და იმის შაგირდები კი გაკვეთილების დროს, რადგან მასწავლებელი არა ჰყავთ, კოჭაობაში ატარებენ დროებას.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ამ იანვრის 12-ს ზოგიერთი სტუდენტები მოსკოვის და სხვა უნივერსიტეტებისა აპირებენ მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების დღესასწაულობას. ამ დღეს ერთს რომელსამე თბილისის სასტუმროში სადილი იქნება გამართული, და თუ ვისმე ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება ჰსურს, შეუძლიან სამეურნეო საზოგადოებაში ჩაეწეროს და ხვედრ ფულსაც იქ წარადგენს.

*** ოჰპირიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ამ დღეებში ერთს იქ მცხოვრებ ქალს ღამის 3 საათზე ოციოდე სალდათი დასხმია თავს—კაცმა არ იცის—რა განზრახვით, და კარების შემტვრევა მოუნდომებიათ. მაგრამ ამ ქალს ორი სტუმარი ჰყოლია, გამოცვივნულან, შექნილა ჩხუბი და ამ ალიაქოთში სალდათები საჩქაროთ უკან გაბრუნებულან..

*** ქუთაისიდამ მოგვივიდა ჩვენ ამ დღეებში შემდეგი შენიშვნა:

„მოგეხსენებათ, რომ ამ დღეებში მიიცვალა აქაური პოლიციმეისტერი უფ. გ. ბაქრაძე. გაზ. „კავკაზში" ეწერა, რომ ის ისეთი პოლიციმეისტერი იყოვო, რომ სხვას იმისთანას ქუთაისი თავის დღეში ვერ ეღირსებაო. თუმცა ლათინურად ნათქვამია, რომ „მიცვალებულზე ან სულ ნურას იტყვი, ან თუ სთქვა, კეთილი სთქვიო." მაგრამ როგორ არა ვსთქვა, რომ ღმერთმა აშოროს ჩვენს ქუთაისს მეორე იმისთანა პოლიციმეისტერი. მართლაც, მე ძალიან მაკვირვებს ის გარემოება, რომ ერთი კაცი ვერ ვნახე აქ, რომ საწყალი მიცვალებულის სიკვდილი სწყენოდეს. ისეთს რასმეებს ამბობენ მიცვალებულის მოქმედებაზე, რომ მეათედი თუ მართალია, მაშინაც ადვილად მიხვდებით ამ გვარ გულგრილობას ხალხისას..."

*** ქუთაისიდამვე გვწერენ ჩვენ, რომ იქაურს საქალებო წმ. ნინოს ზავედენიაში არის ერთი მასწავლებელი ბიბიკოვისა, რომლისგან მთელი სასწავლებელი შეწუხებული არისო, რომლისაც შაგირდებს ისე ეშინიანთ, როგორც ცეცხლისაო, რადგან პატარა ქალებს ხანდისხან სცემსო და სხვა. სწავლითაც ეს დედაკაცი თურმე თითქმის სრულიად არაფერს არ ასწავლის. დიდი ხანია უნდათო, გვწერენ, ამ მასწავლებლის დათხოვნა მაგრამ ერთი პირი სწყალობსო, რომელსაც ამ ზავედენიაზე მზრუნველობა აქვს მინდობილი, და იმიტომ ვერ გამოუგდიათო...

---

## „დროების" კორრესპონდენცია

---

ზემო-იმერეთი, 26 დეკემბერს. როდესაც „დროებაში" წავიკითხავდი ხოლმე იმ ვაჭრის სომხების მოქმედებას, რომელნიც ქართლ-კახეთის გლეხებს უკანასკნელ სისხლსა სწოვენ და აღარიბებენ ოსტატური ვაჭრობით, ვიტყოდი გულში: მადლობა ღმერთსა, რომ ეს ჩვენი მხარე მაინც დაფარულია მათგან!

დღემდისინ ჩვენმა სოფლელებმა არ იცოდნენ მათი ოსტატური დამღუპველი მოქმედება და ყიდვა—გასყიდვა. დღეს შემოვიდა ჩვენშიც ეს სომხის ვაჭრების სენი. მოეფინენ იგინი ჩვენ ხამ სოფელში როგორც კალია. სადაც იყო ღვინოები, სულ მთლად იყიდეს. სოფელში აღარ დაუტოვებიათ ღვინო უყიდელი.

მაგრამ როგორ ყიდულობენ, არ შეიტყობთ? მიდიან საწყალ გლეხ-კაცთან და რაც ღვინო აქვს გასაყიდელი, სულ ყველაში ბეთ აძლევენ ხელში თუმანს ანუ ორ-სამ თუმანს და ქვევრს ბეჭდევენ და მიდიან სხვასთან. სხვებსაც—ასე იქცევიან.

ყველას პირდებიან, რომ მცირეს ხანში მობრუნდებიან, ფულს დაუთვლიან და ღვინოს წაიღებენ. ზოგისაგან მიაქვსთ ღვინო და ეუბნებიან—რკინის სტანციაზე მოიტანეთ და ფულს იქ მოგცემო. ღვინო მიაქვსთ, წონიან და აძლევენ სტანციებში. ციტაოდენ ფულს აძლევენ ღვინის პატრონებს და ეუბნებიან: მერე მოვალთ და მოგცემთო. სხვა ღვინოებს სტოებენ გაზაფხულამდისინ.

ჩვენში გლეხობა პირის-ტეხას არ არის შეჩვეული. იმან მიყიდა ღვინო ორ მანეთად იმიტომ, რომ ეხლავე დაპირდა წაღებას და ფულის მიცემას, თორემ გაზაფხულზე თვითონ პატრონი ერთი-ორ ფასად გაყიდის ღვინოს.

ამ სომხის ვაჭრებს თვითონ უნდათ, რომ თითო ორ-ორი თუმნით დაბეჭდებული ღვინოები გაზაფხულზე ადგილზე გაყიდონ ერთი-ორ ფასად და ასე ისარგებლონ გლეხების ოფლით და შრომით.

ჩვენი ხალხი დღემდინ ამისთანა ჩარჩებისაგან თავისუფალი იყო, მაგრამ სხვა-და-სხვა უბედურებასთან დღეს ესენიც გაუჩნდნენ. ყველა ვალდებულია, ვისაც ჩვენი გლეხებისათვის კეთილი სურს, ჩააგონოს მათ, რომ ამ მავნებელ პირებს დაერიდონ. უნდა უთხრას მათ რომ სანამ ფულები სრულათ არ მიიღონ ღვინო არ უნდა გაატანონ, თორემ მათგან ველარაფერს მიიღებენ.

ყველას ვალია, რომ ეცადოს ამ მავნებელი ვაჭრების აშორება ჩვენი გლეხებისაგან. მადლობა ღმერთს, ჩქარა შეიტყვეს იმათი პატიოსნობა ზოგიერთებმა, მაგრამ ბევრმა არ იცის კიდევ.

N.N.

---

რუსს იაპონიაში;—რა ენაზედაც უნდა წეროს კაცმა, სულ ერთიაო და სხვ.

მაგრამ რა ვქნა? როგორღაც ვერ შევეთვისე ამ ჰაზრს. როგორღაც არ მესმის, არ მეჭაშნიკება, რომ ვინც გვყავს, ის თითოოროლა ჩვენი მწერლებიც უცხო ენაზე სწერდნენ და ამით იმათ ჩვენი ხალხისათვის, იმ ხალხისათვის, რომელსაც ეს ენა არ ესმისთ, სარგებლობა მოჰქონდესთ! როგორღაც ვერ გამიგია—თუ რატომ ის კაცი, რომელიც ქართველ ხალხისაგან და ქართველ ხალხში აღზრდილა, რომელსაც ქართული ჭკუა-გონება აქვს, რატომ ის უცხო ენაზე უნდა სწერდეს და არა თავის სამშობლოზე!

ამბობენ, გ. წერეთელმა იმიტომ შეწყვიტა დაიწყო ქრაევსკის „Голосъ"-ში წერაო, რომ ჩვენში ყველა იმას არ მათქმევინებენ, რისი თქმაც ამ პეტერბურღის გაზეთში შემიძლიანო!

ეს მართალია, მაგრამ მეორე მხრით ისიც ნამდვილია, რომ იმის თქმის ნებას ყველგან მისცემდნენ, რომ ოსმალოები აწვალებენ ქრისტიანებსაო, ცეცხლითა და ხანჯლით გაამაჰმადიანესო იმათ ჩვენი მხრის ქრისტიანებიო, ძლევა-მოსილმა რუსის მხედრობამ ბევრი სისხლი დაღვარა და ამის გამო ოსმალეთს თითქო მთელმა კირე აზია მტკვრისა და ჭოროხის სათავემდინ, ყარსით, არტაანით, არზრუმით, ბათუმით და სხვ. უნდა ჩამოერთოს და რუსეთს უნდა დარჩესო.

ამაზე მეტს არ ამბობს არც სუვორინი და არც პატკოვი და ამის თქმას, ძერწმუნეთ, ჩვენშიაც არავინ დაუშლიდა?!

×

მაგრამ კმარა ამაზე.. დღეს—ახალწელიწადს უფრო სასიამოვნო და მანუგეშებელ საგნებზედ უნდა ლაპარაკი.

ამ გვარ საგნათ მე მიმაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენს ხალხში თან-და-თან ვრცელდება მწიგნობრობა და კითხვის ხალისი. უბედურება ეს არის, რომ ჯერ-ჯერობით ცუდათ აკმაყოფილებენ ჩვენი მოწინავეები (?) ამ ჩინებულ ხალისსა.

წელს, უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ორმოცი სხვა-და-სხვა პატარა თუ დიდი წიგნი დაიბეჭდა ქართულს ენაზე და მომეტებული ნაწილი გაიყიდა კიდეცა.

არასოდეს არ ნახულა, რომ ჩვენში ხ ა ლ ხ ი გაზეთს ჰკითხულობდეს; წელს კი ისე იშვიათად გაივლიდა დღე, რომ ჩვენი გაზეთი 100—150—200 და ხან მეტიც არ გასაღებულიყოს ცალკე ნომრებათ და ისიც თითქმის სულ უბრალო ხალხში, კინტოებში, მენახშირეებში, სოფლიდამ ჩამოსულ ხალხში, წვრილ ვაჭრებში და სხვ.

რასაკვირველია, ეს ერთის მხრით ომიანობას მიეწერება, მაგრამ ერთხელვე კითხვას მიჩვეული ხალხი, მერე ძნელადღა მიატოვებს.

და ეს ისეთი სანუგეშო მოვლენაა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში, რომ ამასთან თითო-ოროლა მწერლის, თუნდათ ნიჭიერების, დაკარგვა არად ჩავარდება, და დღევანდელ ჩვენ მასლაათსაც ამ სასიამოვნო მოვლენის აღნიშვნით ვათავებ.

სოლოლაკელი

---

# ომის ამბები

## აზიის ბრძოლის ველიდამ

არზრუმიდამ იწერებიან გაზ. „Daily Telegraph“-ში 13 დეკემბერს:

„სრულებით გარს-შემოერტყნენ რუსები არზრუმს. ხვალ უეჭველად ტელეგრაფსაც გაგვიფუჭებენ ესენი; მაშინ კი არზრუმი ვერაფერს ამბავს ვერ გაიგებს ტრაპიზონიდამ და ვერც სხვა ალაგებიდამ. დღეს 900 ავათმყოფი წაიყვანეს აქედამ. მუხთარ-ფაშამ გამოაცხადა, რომ ის არზრუმიდამ ფეხს არ მოიცვლის,—აქ დაუხვდები მტერსაო. საშინელი ცუდი ტაროსებია.“

—

ამ უკანასკნელ ამბავს არ ეთანხმება ქვემომოყვანილი ტელეგრამმა, რომელიც 18 დეკემბერს მოსულია „მოსკოვის უწყებებს“ სტამბოლიდამ:

„მუხთარ-ფაშას ბრძანება მიუვიდა, რომ დაუყოვნებლივ სტამბოლში გამოცხადდეს. იმის მოადგილეთ მცირე აზიის ოსმალოს არმიის მთავარ-სარდლად დანიშნულია იზმაილ-ჰაკკი-ფაშა და ამის შტაბის უფროსად ფეიზი-ფაშა.

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად მორიგების თაობაზე და ყველაზე უფრო მომეტებულს ინგლისური გაზეთები. ამბობენ, რომ ოსმალეთი თანახმა არის ახლაო, რომ თავის მოწინააღმდეგეს რომელიმე ნაწილი თავის სამფლობელოსი დაუთმოსო. მაშ ახლა უფრო გაცხარებით დაიწყებს ინგლისი მეცადინეობას, რომ მებრძოლთ შორის მშვიდობიანობა ჩამოაგდოს.

—

ამას წინათ იწერებოდნენ, რომ მცირე აზიის ოსმალოს არმიის უფროსს მუხთარ-ფაშას გამოცვლას უპირებენო და მის მოადგილეთ ქურთ იზმაილ-ჰაკკი-ფაშას ნიშნავენო.

როგორც ეტყობა, ეს ამბავი ნამდვილი უნდა იყოს, რადგან ამ დღეებში სტამბოლიდამ მოსული დეპეშა გვატყობინებს, რომ სულთანმა დაითხოვა მუხთარ-ფაშაო და ამჟამად ის სტამბოლში მოვიდაო.

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

ვენის გაზეთს „Post“-ში შემდეგ ამბავს იწერებიან 15 დეკემბერს:

„ოსმალეთმა ნამდვილი ცნობა მიიღო, რომ როგორც კი რუსები ბალკანზე გადავლენ და ადრიანოპოლისაკენ გაიწევენ, საბერძნეთი იმწამსვე გამოუცხადებს იმას ომსაო. ეს ამბავი პორტამ ინგლისს შეატყობინა და ამბობენ, რომ, თუ მართლა საბერძნეთიც გაერია ომში, საფიქრებელიაო, რომ ინგლისი მაშინ, თუ ნეიტრალურ მდგომარეობას არ მიატოვებს, თავის ინტერესების დაცვას მაინც უფრო ენერგიულად შეუდგება. ყველა კი დარწმუნებულია ახლა იმაში, რომ ოსმალეთის გულისათვის ინგლისი ამ ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებს.“

—

გაზეთს „Presse“-ს მოსულია შემდეგი ტელეგრამმა 20 დეკემბერს ზაძნიციდამ:

„40,000 კაცი გადმოიყვანეს ოსმალოებმა ბალკანზე და გააჩერეს რუმელიაში (ადრიანოპოლში); დანარჩენი ნაწილი აღმოსავლეთის არმიისა, 70,000 კაცი, სხვა-და-სხვა ციხეებში არის დაბანაკებული და დაჭრების დროს ყველა ადრიანოპოლში მოიყრის თავს.“

ლონდონის გაზეთს „Daily News“-ში იწერებიან ბუხარესტიდამ:

„რუსის ინტენდანტის მთავრობა 21 დეკემბერს შეიკრა რამდენიმე ვაჭარს პირობით, რომლის ძალითაც მომავალი წლის მაისისათვის ამ მიჯარადრეებმა დიდ-ძალი სურსათი უნდა დაამზადონ და მოიტანონ ბუქარესტში რუსის ჯარისათვის.“

# განცხადებანი

რასპორიადიტელნი კომიტეტი საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს თბილისის საქალო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლე მზრუნველობა, უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ დროით შემოიტანონ მომავალის 1878 წლის ხვედრი ფული, როგორათაც ამას საზოგადოების უსტავის მეოთხე პარაგრაფი მოითხოვს. ფული უნდა ჩაბარდეს საზოგადოების კაზნაჩეის, ვახტანგ დიმიტრის ძეს თულაშვილს, თბილისის ოკრუჟნი სუდში, დილის 10-ს საათიდამ ნაშუადღევის 2-ს საათამდე.

# გაკვეთილები

ფრანცუზულის ენისა. პრაქტიკული და თეორიული სწავლა. გრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენაზედ.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ქუთაისში, უფ. ზაქარია ჭანდელაკის სადგომში.

მიეცემა

# სასესხებელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა მუღაკოვსკისთან, ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | [illegible] | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | [illegible] | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თბილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | [illegible] | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თბილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოშტა

ა) თბილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოზ. და საშ. ოზურ.—პარასკ. და ოთხ. ქალაქს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თბილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ოთხ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 25 დეკემბ. | | |
| ფონი ვაჭრთი ლიროს: . . | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 248 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7 | [illegible] |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | |
| მოგებიანი (პირველის ა მოგებ.) (მეორე სესხი) | 227 | |
| | 205 | |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ფილ. საზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის ( ) | 85 | 25 |
| მოსკოვის ( ). . . | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თბილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემბ. | 527 | — |
| კავკასის და მერკური. | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | - |

| მაზარდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თბილისი. 29 დეკემბ. | | |
| ფქვ. თეთ. ბაიჯისა, ფუთ. | 2 | 20 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 9 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 10 | — |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | — |
| მატყლი თუშური ფუ. | 7 | 70 |
| — თარაქამისა ფუთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 90 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 80 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 72 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 72 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 15 |
| შაქარი, ბოლც. ფუთი . | 9 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 8 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 14 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 20 |

*Дозволено цензурою Тифлисъ, 1 Января 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.